ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N41

13 ივნისი, 2022 წელი

ერთი მხრივ, სსიპ „ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა“ (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი დირექტორის ქეთევან ჯაყელის სახით და მეორე მხრივ, შპს დიო (შემდგომში „მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორი თამაზ დაუშვილი სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე–3 მუხლის ,,ს[1]'' პუნქტისა და მიმწოდებლის წინადადების საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის/მომსახურების მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

2.1 ხელშეკრულების საგანი: ვერტიკალური ფარდა-ჟალუზის შეძენა, თანმდევი მომსახურებით (მონტაჟი).

2.2 კლასიფიკატორის კოდი: CPV39500000.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **3425 (სამიათას ოთხას ოცდახუთი ლარი)** ლარს.

3.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფასები, მოცემულია თანდართულ ფასების ცხრილში (დანართი №1), რომელიც ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3.4 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ყველა ხარჯს დაკავშირებულს ტრანსპორტირებასა და მონტაჟთან, ასევე შემსრულებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის/გაწეული მომსახურების ღირებულების მიხედვით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისიწნებული დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე.

4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი დოკუმენტაციის ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4.4 წინასწარი ანგარიშსწორება: არ გამოიყენება.

4.5 დაფინანსების წყაროს წარმოადგენს: 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისიწნებული ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირის აქტი.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მხრიდან მოთხოვნილი რაოდენობის უნაკლო შესყიდვის ობიექტის მიწოდების დადასტურებისა და ანაზღაურების მიღების მიზნით შემსყიდველს წარუდგინოს შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია.

5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის ლოჯისტიკის სპეციალისტი დავით ავალიანი.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

6.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა: არაუგვიანეს 2022 წლის 15 ივნისი.

6.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქალაქი ახალქალაქი, თამარ მეფის ქუჩა (ყოფილი ფილიპე მახარაძის ქუჩა), #33.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველს მიაწოდოს შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. იგი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხზე.

7.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

7.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

8.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შემსყიდველისათვის მიწოდებისას ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირი ამოწმებს მიწოდებული გაწეული მომსახურების წინამდებარე ხელშეკრულებაში გათვალისიწნებულ პირობებთან შესაბამისობას და მიღებულ შედეგებს ადასტურებს შესაბამისი აქტით.

8.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებლ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის სკოლის ინფრასტრუქტურის, ქონებისა და მარაგების სპეციალისტი მერაბი ყიფიანი;

8.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

8.5 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

8.6 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, დაგვიანებით განხორციელებული მომსახურების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით,.

9.2 შემსწიდველი უფლებამოსულია, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების ან/და შეუსრულებლობის შემთხვევაში, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება გადააჭარბებს 10 კალენდარული დღით, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და ასევე, გამოიყენოს ამ მუხლის 9.1 და 9.2 პუნქტებით გათვალისიწნებული პირობები ერთობლიობაში.

9.4 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი დროზე ადრე მოითხოვს ხელშეკრულების შეწყვეტას აღნიშნული განიხილება, როგორც ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულება და ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია გამოიყენოს ამ მუხლის ამ მუხლის 9.1 და 9.2 პუნქტებით გათვალისიწნებული პირობები ერთობლიობაში.

9.5 დაკისრებული პირგასამტეხლო გადახდილ უნდა იქნას მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადისა.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს წინამდებარე სანქციების გამოყენებას.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა.

11.3 მიმწოდებლისთვის ფორს-მაჟორული გარემოების დადგომა უნდა დასტურდებოდეს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ.

11.4 შემსყიდველისთვის მიერ ფორს-მაჟორული გარემოების დადგომა უნდა დასტურდებოდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.5 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ინტერესთა კონფლიქტი

13.1 “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერნი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მხარეთა მიერ ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

15. დასკვნითი დებულებები

15.1 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო
ადმინისტრირების სკოლა
გადასახადების გადამხდელის საიდენტიფიკაციო
ნომერი 212852055
ქუთაისი, ნიკეას ქუჩა, 13. ტელ. 431 23 26 00.
მიმღები:ხაზინის ერთიანი ანგარიში, ქ.თბილისი
,,სახელმწიფო ხაზინა“
ბანკის კოდი: TERESEGE22
დირექტორი: ქეთევან ჯაყელი

„მიმწოდებელი“

შპს დიო
საიდენტიფიკაციო კოდი:201946573
მისამართი: საბურთალოს ქ.#55; 0160 თბილისი
ელ-ფოსტა: analoria@dio.ge
ტელეფონი: 2361112; 2362199 ფაქსი: 2366899
მომსახურე ბანკი: თიბისი ბანკი
მომსახურე ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის ნომერი: GE72TB1959136080100001
აღმასრულებელი დირექტორი: თამაზ დაუშვილი

პროდუქციის დასახელება	ფერი	ცალი	კვმ	ერთ. ფასი დღგ-ს ჩათვლით (ლარი)	თანხა დღგ-ს ჩათვლით (ლარი)
ვერტიკალური ფარდა-ჟალუზი	ლინია ლურჯი	21	60.5	56,61	3425

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო
ადმინისტრირების სკოლა
გადასახადების გადამხდელის საიდენტიფიკაციო
ნომერი 212852055
ქუთაისი, ნიკეას ქუჩა, 13. ტელ. 431 23 26 00.
მიმღები:ხაზინის ერთიანი ანგარიში, ქ.თბილისი
,,სახელმწიფო ხაზინა“
ბანკის კოდი: TERESEGE22
დირექტორი: ქეთევან ჯაყელი

„მიმწოდებელი“

შპს დიო
საიდენტიფიკაციო კოდი:201946573
მისამართი: საბურთალოს ქ.#55; 0160 თბილისი
ელ-ფოსტა: analoria@dio.ge
ტელეფონი: 2361112; 2362199 ფაქსი: 2366899
მომსახურე ბანკი: თიბისი ბანკი
მომსახურე ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის ნომერი: GE72TB1959136080100001
აღმასრულებელი დირექტორი: თამაზ დაუშვილი

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არ ქონის შესახებ

ქ. ქუთაისი 13 ივნისი, 2022 წ.

წინამდებარე ხელშეკრულებით, წარმოვადგენ სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის 2022 წლის 13 ივნისს გაფორმებულ, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N41 ხელშეკრულების შესრულების კონტროლის, მიღება-ჩაბარებისა და ზედამხედველობის განმახორციელებელ პირს, ამ ხელწერით ვადასტურებთ, რომ შესყიდვის პროცედურებში, ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს და ამ პროცედურებში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები მიმწოდებელთან.

სკოლის დირექტორი

ქეთევან ჯაყელი

სკოლის ინფრასტრუქტურის, ქონებისა და მარაგების სპეციალისტი

მერაბ ყიფიანი

ლოჯისტიკის სპეციალისტი

დავით ავალიანი